

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

**2022 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3.1.	3 570	83 723
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		6 025 127	6 437 586
გადახდილი ავანსები		837 755	824 995
მარაგები	3.2.	2 091 002	1 742 727
წინასწარ გადახდილი გადასახადები		68 189	
გაცემული მიმდინარე სესხები		484 381	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 510 025	9 089 031
ძირითადი საშუალებები	3.3.	8 163	9 186
არამატერიალური აქტივები		212	423
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		620 000	620 000
სულ აქტივები		10 138 400	9 718 640
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4.	3 964 851	2 266 351
საგადასახადო ვალდებულებები		-	148 689
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		9 270	31 924
სასესხო ვალდებულებები	3.5.	3 480 614	4 906 437
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7 454 735	7 353 401
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2 683 665	2 365 240
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10 138 400	9 718 640

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		17 421 352	28 351 829
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(15 926 972)	(25 877 825)
საერთო მოგება		1 494 380	2 474 004
დასაქმებულთა ანაზღაურება		(260 364)	(220 151)
იჯარის ხარჯი		(443 578)	(373 542)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(2 505)	(2 615)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(209 601)	(263 277)
საპროცენტო ხარჯი		(242 492)	(268 743)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		335 841	1 345 676
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		(27 554)	(26 408)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		824 834	786 852
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(182 312)	30 074
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაზღვევამდე		950 809	2 136 194
მოგების გადასახადის ხარჯი		(94 858)	(114 799)
წლის (ზარალი)/მოგება		855 951	2 021 395
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		855 951	2 021 395

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	994 370	994 370
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 021 395	2 021 395
განაწილებული დივიდენდი	-	(650 526)	(650 526)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 365 239	2 365 239
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	855 951	855 951
განაწილებული დივიდენდი	-	(537 526)	(537 526)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 683 664	2 683 664

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



შპს „შვიდი მითი ტრეიდი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2022 წ.	2021 წ.
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1 462 269	826 860
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(620 000)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 545 973)	(553 859)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(83 704)	(346 999)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	83 723	430 465
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3 551	256
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	3 570	83 723

დირექტორი

მამუკა სამხარაძე



2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი ტრედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 22 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405214110, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ., N 10-12, ოფისი N3. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 60%;

მამუკა სამხარაძე (01024005082) - 40%

1.3. კომპანიის დირექტორია მამუკა სამხარაძე.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია იმპორტი და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას ჰყავს ერთი მეკავშირე საწარმო - შპს „შვიდი ფუდ“ (ს/კ 405450248), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 50%-ს. ამ მეკავშირე საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საკვები პროდუქტით, მ.შ. ხორცითა და ხორც-პროდუქტებით ვაჭრობა.

1.6. 2022 წლის მდგომარეობით, კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა საშუალოდ 10 კაცს.

1.7. კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. ინვესტიციები

საწარმო თავის არაკოტირებულ ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოში აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით, რა დროსაც ეს ინვესტიციები ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სიდიდით.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1USD=3.0976 ლარი; 1EUR=3.5040 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1USD=2.7020 ლარი; 1EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული	877	8 736
ფულადი სახსრები ბანკებში	2 693	74 986
სულ ფულადი სახსრები	3 570	83 723

3.2. მარაგები:

ლარი	31.12.2022	31.12.2021
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	2 091 002	1 742 727
სხვა მარაგები	-	-
სულ მარაგები	2 091 002	1 742 727

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. 2022 წელს ამ მუხლში აღრიცხული აქტივები სრულად შედგება კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯისაგან.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	1 171 079	1 114 705
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2 793 772	1 151 646
სულ სავაჭრო ვალდებულებები	3 964 851	2 266 351

3.5. მიღებული სესხები:

ლარი	31.12.2022	31.12.2021
მიღებული საბანკო სესხები	2 839 580	4 140 957
სესხები ბიზნეს პარტნიორებისგან	641 035	765 480
სულ სასესხო ვალდებულებები	3 480 614	4 906 437

3.6. განაწილებული დივიდენდი

2022 წელს კომპანიის პარტნიორებმა გადაწყვიტა გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 537 526.31 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2022 წელს კომპანიას წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 94 857.59 ლარი შეადგინა.

3.7. ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.